http://kancelaria.cloud.gov.ge/nomfileserver/GetFile?file_id=7232

საქართველო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა

KA000073728846017

*5000 საქართველო, ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1 ტელ: 5(99) 856 577 ელ.ფოსტა info.gamgeoba@gmail.com

№ 499-ს

12 / აპრილი / 2017 წ.

ბრძანება

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისა და კომპლექსური სასპორტო სკოლის გაერთიანებისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლისა და “ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისა და კომპლექსური სასპორტო სკოლის გაერთიანებისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე” ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 აპრილის №17 განკარგულების შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისა და კომპლექსურ სასპორტო სკოლის გაერთიანებას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 442262757) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით უვადო სარგებლობაში ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება– ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ლესიჭინეში მდებარე არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 13718.00 კვ.მ. ოდენობით, განაშენიანების ფართით: N1-216.6 კვ.მ. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №46.05.42.233).
2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

გამგებელი

დათო გოგუა